საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 9 ოქტომბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე [illegible] ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი [illegible] ველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქც. და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24

ტელეფონი 16—62.

№ 229 ორგანი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 229

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულდამწვარი და ღრმად დამწუხრებული დეიდა ელისაბედი მექვაბიშვილის ასული ბარამიძისა, დეიდაშვილები: ივანე და მოსე ბარაიიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი დისშვილის და მეორენი დეიდაშვილის, გიმნაზიის 1-ლი კლასის მოწაფის

ვარლამ თომას ძე აგხაზავას

ტრაღიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 8 ოქტომბერს, ს. ებალაურის ეკლესიის გალავანში (გურია). (ნ.—1—1)

ღრმად დამწუხრებული მშობლები ნატო და დათიკო ძმა სერგეი და ვალენტინა ლორთქიფანიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ძვირფას

თამრიკოსას

გამოსვენება დღეს ხუთშაბათს შუადღის 2 საათზე რკინის გზის საავადმყოფოდან დასაფლავება წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (ნ. 1—1)

გულ დამწვარი მეუღლე მართა, შვილები: თამარა, ქეთო. სიდედრი ცაცა, სიმამრი სამსონ ოსიფაიშვილები, მამადაიშვილი ტარასი ჩანტლაძე ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობ—მოკეთეებს რომ ორმოცი დღის ავათმყოფობის შემდეგ 6 ოქტომბერს უდროოდ გარდაიცვალა

ლევან ალექსანდრეს ძე გერაძე

მიცვალებულს გამოასვენებენ რკინის გზის საავათმყოფოდან 8 ოქტომბერს. საიდანაც წაასვენებენ ს. საყვავის ტყეში (გურია) დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (634—1—1)

გულდათუთქული მშობლები ლიდა და გიორგი ცინცაძე აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს დილით 8 ენკენისთვეს გადაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი შვილი

პატარა არჩილი

გამოსვენ-ბის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ნ. 1—1)

## პირველი სენატი

დიდი ხნის მუშაობის შემდეგ დამფუძნებელი კრების სარეკომენდაციო კომისიამ შეადგინა სენატის წევრთა საკანდიდატო სია და 7 ოქტომბრის სხდომაზე უკვე მოხდა სენატორთა არჩევა.

სენატის არჩევა დიდ მნიშვნელოვან ფაქტად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ცხოვრებაში.

რუსეთის ჩამოშორებამ ჩვენ უსენატოდ დაგვტოვა. ის კი სასამართლოს უთაოთ დარჩენას მოასწავებდა. ჩვენ ვსარგებლობდით სასამართლოს ძველი აპარატით, ზოგან ის შევაკეთეთ კიდეც, შევქმენით არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი და საგანგებო სასამართლო, მაგრამ მართლმსაჯულების აპარატი დღემდის მოუწყობელია.

სასამართლოს დღემდის არ ყავდა უმაღლესი, ავტორიტეტული ხელმძღვანელი და გზის მაჩვენებელი. გარდა ამისა, მრავალი სისხლის და სამოქალაქო საქმეებია მოგროვილი საკასაციო არქივში, რადგან ამ საქმეების გამრჩევი ორგანო—სენატი არ არსებობდა და ამიტომ აღნიშნული საქმეები ჯერ კიდევ დაუმთავრებელია. ეს გარემოება თითონ სასამართლოებს უცრუებდა გულს მუშაობაზე, ხოლო მოქალაქეს გამოურკვეველ მდგომარეობაში აგდებდა. ამან შეასუსტა პასუხისმგებლობის გრძნობა და ანარქიას და არევ-დარევას ხელი შეუწყო. მართალია, რევოლიციურ ხანაში სასამართლოს ვერ ექნება ის ძალა და გავლენა, რომლითაც ის ჩვეულებრივ დროს სარგებლობს, მაგრამ ჩვენ უკვე დიდი ხანია შევდგით ფეხი ალმშენებლობით მუშაობაში, მოვაწყვეთ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო დამფუძნებელი კრება და ასეთს პირობებში სასამართლოს უძლურება მეტის მეტად ხელის შემშლელი იქნებოდა და ჩვენი სახელმწიფოებრივი სიმტკიცისათვის. ამიტომ იყო, რომ ჩვენი პარტია ასე ენერგიულად მუშაობდა ჯერ სენატის დებულების კანონმდებლობითი გზით გასატარებლად, ხოლო შემდეგში თვით სენატის არჩევის საქმეში.

დღეს ეს სენატი—საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი სენატი უკვე არჩეულია და ჩვენი სურვილია, რომ ის დაუყონებლივ შეუდგეს თავის ძნელ და საპასუხისმგებლო მუშაობას, რაშიაც მას მთელი შეგნებული დემოკრატია დაუჭერს მხარს.

რა უნდა აკეთოს სენატმა? ჩვენ გვწამს ამ მაღალ დაწესებულების ავტორიტეტი, დარწმუნებული ვართ, რომ ის თითონ, სხვების უჩვენებლად, შეასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ დემოკრატიას არ შეუძლია არ მიუთითოს სენატს ერთს გარემოებაზე: ჩვენი სასამართლო მოშლილია, ის, რაც პატივისცემის ღირსი იყო ძველ სასამართლოში—მუშაობის უნარი—მოდუნებულია, ხოლო ის, რაც ხალხის სიძულვილს იწვევდა—ჯერ კიდევ დაუძლეველია: ეს არის დღევანდელი სასამართლოს ანტიდემოკრატიული სული, მისი თითქოს ორგანიული სიძულვილი ხალხისადმი.

სენატის სამღვთო მოვალეობაა სასამართლოს ამ ნაკლს შეებრძოლოს. სასამართლო უნდა გაიწმინდოს იმ ელემენტებისაგან, რომლებსაც თავისი დანიშნულება, ხალხის სამსახური, ვერ შეუგნიათ და შეიქმნას სასამართლო ახალი, დემოკრატიულ სულის მატარებელი.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ცხოვრების სიძვირის გამო, ბევრი ღირსეული პირი იძულებულია მოშორდეს სასამართლოს, და ნორმალურ მუშაობას ვერ აბერხებენ ვერც ისინი, ვინც ადგილზე არიან. მაგრამ ამ დაბრკოლების დაძლევა შეუძლებელი არაა. მართალია, ღარიბია ჩვენი ხაზინა, მაგრამ სასამართლოს აღორძინებისათვის ჩვენი დემოკრატია მსხვერპლს არ მოერიდება.

დემოკრატია ელის ნამდვილ დემოკრატიულ სასამართლოს და პირველ ყოვლისა ის თავის იმედებს სენატზე ამყარებს.

## კოოპერატივთა ყრილობა

გუშინ, თფილისში უნდა გახსნილიყო კოოპერატ. მე 8 ყრილობა. ყრილობას წინ ასწრებდა კოოპერატივთა კავშირის ინსტრუქტორების თათბირი.

ყრილობას მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო მომენტში უხდება შეკრება და მუშაობა. განსაკუთრებული პირობები დღევანდელი ვითარებისა, განსაკუთრებული მდგომარეობა იმ დიადი ფართე სოციალური გარდაქმნისა, რომელსაც დღეს კულტურული კაცობრიობა განიცდის—კოოპერატივებისათვის ახალ და რთულ პრობლემებს ქმნის და მისგან დიდ გამჭრიახობას ითხოვს.

მის პრაქტიკულ საქმიანობას მეტის მეტად ართულებს და აძნელებს აწეწილი ეკონომიური მდგომარეობა, სავაჭრო გზების და ურთიერთობის დაწყვეტა, ფინანსიური ანარქია და სხვა და სხვა.

კოოპერატივებს დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ცხოვრების მოწესრიგებაში. თუ რევოლიუციამდე იგი ორგანიზაციული და თვით მოქმედების სკოლა იყო, რევოლიუციის პირველ ხანებში დიდი სახელმწიფო როლიც ითამაშა. იგი ერთ ელემენტთაგანი იყო, რომელზედაც ეყრდნობოდა სხვა და სხვა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები სასურსათო და სხვა კომიტეტების სახით.

დღეს იგი თავის პირდაპირ დანიშნულებას უბრუნდება და ამ ნიადაგზე მას, როგორც ვსთქვით, არა ერთი და ორი დაბრკოლება ეღობება წინ. მიუხედავათ ამისა კოოპერატივები მაინც აბერხებენ თავის საქმეების გაფართოვებას. დღეს იგი საკუთარ მრეწველობის და სახელოსნოების მოწყობა დაარსებასაც შეუდგა და ამ მხრით მნიშვნელოვანი ნაბიჯებიც გადადგა. ის არა ნაკლებ ყურადღებას აქცევს კულტურულ მუშაობასაც. ხსნის ბიბლიოთეკებს, ავრცელებს წიგნებს, მუსიკას, გაზეთებს; მართავს ლექციებს, ექსკურსიებს, ეხმარება სახალხო სახლებს, გზებისა და ტელეფონების გაყვანას სოფლად და სხვა და სხვა.

ეკონომიურათ გალატაკებული ჩვენი ქვეყანა დიდ მუშაობას ითხოვს. ამ მუშაობაში ჩაბმულია დღეს მთავრობა, ერობები და ქალაქები. ამ მუშაობის ტემპზე და დოვლათზეა დამოკიდებული ჩვენი არსებობის სიმტკიცე და სიძლიერე. ამ მუშაობაში დიდი ადგილი უჭირავს ჩვენს კოოპერატივებს. ბევრი, ძალიან ბევრია მათზე დამოკიდებული. ამიტომ ყველა ამ ორგანოთა შორის აუცილებლათ უნდა შემუშავდეს სრული კონტაქტი და მჭიდრო კავშირი. ყოველგვარი გაუგებრობა ამ თავითვე უნდა იქმნას აშორებული და ასე ყველა ჩვენი დემოკრატიული ორგანოების ენერგია და უნარი ეკონომიურათ და მიზანშეწონილათ გამოყენებული.

დემოკრატია ყველა სახით და ფორმით მწყობრათ უნდა შეუდგეს ერთი და იმავე მიზნის სამსახურს. ასეა—მომავლის მტკიცე ნიადაგის მომზადება.

ჩვენ გვჯერა, რომ კოოპერატივთა ყრილობა პასუხს გასცემს ყველა იმ საკითხებს, რომელიც მან უნდა გაარჩიოს, ჩვეულებრივის ენერგიით და ხალისით შეუდგება თავის გზის კაფვას შექმნილ ქაოსში და თავის წვლილს შეიტანს ჩვენი ცხოვრების გარდაქმნაში.

ამ იმედით და ამ რწმენით ვესალმებით კოოპერატივთა მერვე ყრილობას და ვუსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას.

განი.

## პრესა

„აშხატავორი" (№ 210) თავის მეთაურში სათაურით „მესამე ძალა" ეხება მესამე ძალის საჭიროების საკითხს ამიერ კავკასიისათვის:

„ნამდვილ მშრომელ ხალხისთვის არ არის საჭირო არც ერთი გარეშე ძალა. პრინციპიულად ეს უდავოა, მაგრამ ცხოვრება სულ წინააღმდეგს ამბობს. რა არის ამის საბაბი?

„რათ არის, რომ სამივე რესპუბლიკა ერთნაირი ენერგიით ცდილობს მოიყვანოს ან შეინახოს მესამე ძალა კავკასიაში?

„ამის ნამდვილი პასუხის მისაცემათ უნდა მხედველობაში ავიღოთ ის მდგომარეობა, რომ რუსეთის აქედან წასვლის შემდეგ შეიქმნა სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომელთაგან თითეული იძულებული იყო თავის არსებობის პირველ ხანაში ეწარმოებინა თვითმოყვარე და ვიწრო ნაციონალური პოლიტიკა.

„საუბედუროთ, ახალ რესპუბლიკების საზღვრები დახაზული არიან რუსულ ადმინისტრატიულ გაყოფის თანახმად, რომლის წყალობით ამა თუ იმ ერის ნაწილები რჩებიან სხვა სახელმწიფოს საზღვრებში. ეროვნულ სახელმწიფოს საზღვრები დარღვეულია ამ არა-ნორმალურ გაყოფის წყალობით, და ეს ძლიერი ნიღაბია, რომლითაც ამ ქვეყნების გაბატონებული კლასები მალავენ თავიანთ აგრესიულ პოლიტიკას.

„ცხადია, რომ ეს მოწინააღმდეგე მხარეები თავიანთ შორეულ მიზნების მისაღწევად უნდა ეცადონ ისარგებლონ ყველა იმ ძალებით, რომლებიც ასე თუ ისე შესძლებენ მოეხმარონ მათ საქმეს.

„ყველასათვის ცხადია, რომ პოლიტიკას აწარმოებს ყველა ქვეყანაში გაბატონებული კლასსი. უდავოა ისიც, რომ ეგ პოლიტიკა მუდმივ ხელსაყრელია იმავე კლასისათვის, როგორც აუცილებელი შედეგი ძალების რეალურ ურთიერთობისა. ასე, საქართველო თავის სოციალ-დემოკრატიულ მთავრობის ხელით ჰქმნის ერთი ეროვნული წვრილ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, სადაც ფაქტიურად ბრძანებელია თავადების და მემამულეების კლასი, გაძლიერებული ახლად შექმნილ ბურჟუაზიით. ბუნებრივად ამ მთავრობის გარეშე პოლიტიკა უნდა იყოს ვიწრო ეროვნული და ანტიდემოკრატიული ხასიათისა. იგი იმავე დროს უნდა იყოს აგრეთვე იმპერიალისტური, რადგან მჭიდრო ეროვნულ სახელმწიფოს საზღვრებში არ არსებობა ეროვნულ ანტაგონიზმისა ხელს უწყობს კლასიურ თვითშეგნებას, რომლისგან ცდილობს ყველაფრით განთავისუფლდეს ბურჟუაზია.

„ასეთივეა ადერბეიჯანი, სადაც ძალა უფლება ბეგების და ალალარების ხელშია ღატაკი ხალხის რევოლიუციონურ ბრძოლისგან მოსაშორებლად ეს კლასი ცდილობს შეჰქმნას ეროვნული ფრონტები, რაშიც უნდა დაიხარჯოს მშრომელ ხალხის ენერგია და ძალა.

„სხვა სურათს წარმოადგენს სომხეთი. მას არ ჰყავს ბურჟუაზია, რადგან სომხური ბურჟუაზიას მუდმივ უარუყვია სამშობლო, არ არსებობს აგრეთვე მემამულეების კლასი ან სხვა პრივილეგიანი კლასი. ამისთვის სომხეთი თავის სოციალურ არსებობით წმინდა დემოკრატიული მშრომელ ხალხის ქვეყანაა, სადაც ძალაუფლება ამავე ხალხის ხელშია

„არ არის სხვა საკმაოდ ძლიერი კლასი, რომელიც აიძულებს აწარმოოს არა დემოკრატიული, ან იმპერიალისტური პოლიტიკა.

„ჩვენ ვხედავთ, რომ ნორჩმა რესპუბლიკებმა თავიანთ ეროვნულ სახელმწიფოთა საზღვრების გამორკვევამდე უნდა იბრძოლონ რამდენადაც შეიძლება თავიანთ ფარგლების გასაფართოებლათ. და ამ გაფართოებული საზღვრების მეზობლის რევანშიდან გადასარჩენად ყველა ცდილობს იპოვოს ერთი „მესამე ძალა, რომლის აქ ყოფნა საკმარისი იქნებოდა, რომ უზრუნველყოფილი იყვეს მათი ინტერესები. აი საიდან გამოსულა და გამაგრებულა „მესამე ძალის" საჭიროება. იმ დროს, როცა ადერბეიჯანს და საქართველოს, დაყრდნობით მესამე ძალაზე უნდათ თავიანთი საზღვრები გააგანიერონ და უზრუნველყონ—სომხეთი ამ მესამე ძალას იწვევს თავის ხალხის ფიზიკურ არსებობის დასაცავად ახალ ხოცვა-ჟლეტისაგან.

„აი მეორე განსხვავება. ამიტომ არის, რომ მენშევიკური და მუსავატის ორგანოები ყოველთვის აბრალებენ სომეხ მშრომელ ხალხს, რომ უყვართ უცხოელები, ესეც კიდევ ერთ ხაზად უნდა ჩაითვალოს, რომლის მიზანია გაამართლონ მხოლოდ თავიანთი მთავრობების პოლიტიკა".

მენშევიკები „სომეხ მშრომელ ხალხს" კი არ აბრალებენ უცხო სახელმწიფოთა ამიერ-კავკასიის საქმეებში ჩარევას, ამას აბრალებენ დაშნაკცაკანებს. ამ უკანასკნელთაც იმას კი არ უსაყვედურებენ, რათ იწვევთ ჩვენს ქვეყანაში დიდ სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებსო როდესაც ხალხს შემოსეულ მტრებისაგან გაჟლეტა მოელის, ჩვენც წინააღმდეგნი არა ვართ, რომ უცხო ძალა დავიხმაროთ ხალხის გადასარჩენათ. დაშნაკელების დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ცდილობენ ამ უცხო ძალების მეზობლების, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების, წინააღმდეგ გამოიყენონ; მთელი მათი აგიტაცია საზღვარ-გარეთ და ინტრიგები ადგილობრივ სარდლობის წინაშე იქით იყო მიმართული, რომ დიდ სახელმწიფოების პოლიტიკა სომხეთის მეზობელ რესპუბლიკების საზიანოთ მიემართათ. ეს ყოფილა მუდამ დაშნაკელების პოლიტიკის დედა-ძარღვი.

რაც შეეხება „აშხატავორის" „სოციოლოგიას", იგი პირდაპირ კომიკურ შთაბეჭდილებას ახდენს. საქართველოში, სადაც მთელი კანონ-მდებლობა თავად-აზნაურობის ბატონობის წინააღმდეგ არის მიმართული, სადაც თავადაზნაურობას მთელი მიწა ჩამოერთვა და გლეხების ხელში გადავიდა, სადაც ხალხის ხელში გადავიდა მთელი მართვა გამგეობა, სადაც მუშათა კანონმდებლობის საუკეთესო ფორმებია გატარებული, ამ საქართველოში, «აშხატავორის» «სოციოლოგიით», თურმე «ბრძანებლობს თავადების და მემამულეების კლასი», და იმ სომხეთში კი, სადაც სახელმწიფოს სათავეში თფილის ბაქო ერევნის სპეკულიანტებია მოქცეული, სადაც ჯერ არც ერთი დემოკრატიული კანონი არ გატარებულა,—ამ სომხეთში თურმე არ არსებობს ბურჟუაზია და ეს სომხეთი ყოფილა თურმე „წმინდა დემოკრატიული მშრომელი ხალხის ქვეყანა".

## დამფუძნებელი კრება

7 ოქტომბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ექვთ. თაყაიშვილი.

**დეკრეტი საქართველოს სენატის ზოგიერთ თანამდებობის პირთათვის ჯამაგირის გადიდებისა.**

მომხსენებელი ს. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ საკანდიდატო პირებთან მოლაპარაკების დროს გამოირკვა, რომ დამფუძნებელი კრების მიერ წინეთ მიღებული ჯამაგირები არ აკმაყოფილებს სენატორებს. იურიდიული და სარეკომენდაციო კომისიის შეერთებულ სხდომაზე დადგენილ იქნა გაუდიდდეს მათ სენატის ზოგიერთ თანამდებობის პირთ ჯამაგირები შემდეგ ნაირათ: სენატის თავმჯდომარეს თვეში—9,000 მ., მის ამხანაგს—8,500 მ., სენატორებს—7,500 მან., სენატის პროკურორს—8,000 მან., მის ამხანაგს—7,000 მან.

დეკრეტი მიღებულ იქნა უკამათოდ.

**სარეკომენდაციო კომისიის მოხსენება.**

ს. ჯაფარიძე სარეკომენდაციო კომისიის სახელით ადგენს შემდეგ სიას სენატორებისას:

სენატის თავმჯდომარედ ნაფიცი ვექილი დ. ბ. ხელთუფლიშვილი, სენატის თავმჯდომარის ამხანაგად—ტფ. საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარე ი. მ. ჯაფარიძე; სენატორებად სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში: ნაფიცი ვექილი ი. ი. ზურაბიშვილი, ნაფიცი ვექილი ვ. ა. დემიდოვი, სასამართლო პალატის წევრი ს. გ. მიქელაძე, ნაფიცი ვექილი ლ. გ. ასათიანი, ნაფიცი ვექილი გ. ი მაღნარაძე; სამოქალაქო დეპარტამენტის ადმინისტრატიულ განყოფილებაში: ქუთაისის ქალაქის თავი იურისტი დ. ი. კალანდარიშვილი, იუსტიციის მინისტრის ყოფილი ამხანაგი გ. ი. გველესიანი, ნაფიცი ვექილი, მიწათმოქმედების სამინისტროს იურისკონსულტი ვ. ნ. ქუთათელაძე; სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტში: იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ნ. მ. მიქელაძე, ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრი მ. ლ. ქორქაშვილი, ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი ნ. გ. მაჭავარიანი, სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე ი. ნ. რონიაშვილი, სოხუმის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარე გ. დ. სიდამონ ერისთავი.

**შ. მესხიშვილი** (ს. ფ.) სოც. ფედერალისტების სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენ საერთოდ სიას ვეთანხმებით, მაგრამ მწუხარებას გამოვსთქვამთ ზოგიერთი მომზადებული პირის სიის გარეთ დარჩენის გამო.

**კ. ნინიძე** ადგილიდან: საერთოდ თუ ეთანხმებით, მაშინ მწუხარების გამოთქმა რა საჭიროა. ეს ალბათ ფედერალისტური ლოღიკაა.

**გ. გვაზავაც** მწუხარებას გამოსთქვამს სიის გარეთ ბევრი მომზადებული პირის დარჩენის გამო.

**რ. არსენიძე:** სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ვაცხადებ: ჩვენი ფრაქცია სავსებით მხარს უჭერს წარმოდგენილ სიას. მართალია, ჩვენ ბევრი მომზადებული პირი მოგვეპოვება, მაგრამ სახელმწიფოს ბევრი დარგი აქვს, საიდანაც მათი მოხსნა არ იქნებოდა სახელმწიფოებრივის თვალსაზრისით მიზანშეწონილი.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ ისინი (სენატორები) დაიცავენ იმ სიმაღლეს, რომელსაც მათ ავალებს სენატორის მძიმე და დიდი მოვალეობა, მაშინ სავსებით გაამართლებენ იმ იმედებს, რომელსაც მათზე ამყარებს დამფუძნებელი კრება (ტაში).

შემდეგ მოხდა ფარული კენჭის ყრა. კენჭის ყრაში სულ მონაწილეობა მიიღო 59 კაცმა.

არჩეულ იქნენ:

სენატის თავმჯდომარეთ—ნაფიცი ვექილი დავით ბესარიონის ძე **ხელთუფლიშვილი**

სენატის თავმჯდომარის ამხანაგად—თფილისის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარე ივანე მიხეილის ძე **ჯაფარიძე**.

**სენატორებათ სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში:**

1. ნაფიცი ვექილი ივანე ივანეს ძე **ზურაბიშვილი**.
2. ნაფიცი ვექილი ვასილ ალექსანდრეს ძე **დემიდოვი**.
3. სასამართლო პალატის წევრი სოლომონ გიორგის ძე **მიქელაძე**.
4. ნაფიცი ვექილი ლევან გიორგის ძე **ასათიანი**.
5. ნაფიცი ვექილი გიორგი ისიდორეს ძე **მაღნარაძე**.

**სამოქალაქო დეპარტამენტის ადმინისტრატიულ განყოფილებაში:**

1. ქუთაისის ქალაქის თავი იურისტი დიმიტრი ილარიონის ძე **კალანდარიშვილი**.
2. იუსტიციის მინისტრის ყოფილი ამხანაგი გრიგოლ ივანეს ძე **გველესიანი**.
3. ნაფიცი ვექილი მიწათმოქმედების სამინისტროს იურისკონსულტი ვლადიმერ ნესტორის ძე ქუთათელაძე.

**სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტში:**

1. იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ნიკოლოზ მოსეს ძე **ქიქოძე**.
2. ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრი მიხეილ ლევანის ძე **ქორქაშვილი**.
3. ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი ნიკოლოზ გიორგის ძე **მაჭავარიანი**.
4. სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე იოსებ ნიკოლოზის ძე **რონიაშვილი**.
5. სოხუმის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი დიმიტრის ძე **სიდამონ-ერისთავი**.

განხილვა დეკრეტისა სახაზინო რკინის გზის საექიმო სასანიტარო და საეკლესიო ნაწილისათვის გაწეულ ხარჯის დასაფარავად 1,132,422 მან. კრედიტის გახსნისა მომხსენებელი ივ ჰავჰანიძე აღნიშნავს ზემოთ დასახელებული თანხის კრედიტის გახსნის აუცილებელ საჭიროებას. დეკრეტი მიღებულ იქნა.

**დეკრეტი ადგილობრივ თვითმართველობათა სავალდებულო დადგენილების გამოცემის უფლების გაფართოვების შესახებ.**

**გ. გვაზავას** წინადადება შეაქვს, რომ ეს საკითხი გადაეცეს იურიდიულ კომისიის გადასამუშავებლათ და წარმოსადგენათ კანონ-პროექტის სახით. ორატორი იმითაც ასაბუთებს თავის წინადადებას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშავდება ერობის თვითმართველობათა უფლების შესახებ ზოგადი დებულებანიო.

**თავმჯდომარე:** აქ შემოსულია სოც.-დემოკრატიული ფრაქციისაგან წინადადება, რომ ეს დეკრეტი გადაეცეს თვითმართველობას და იურიდიულ კომისიებს.

**რ. არსენიძე:** დეკრეტის გადადება თვითმართველობათა უფლებების შესახებ საზოგადო დებულებების გამომუშავებამდე შეუძლებელია. ეს დეკრეტი არ ეხება თვითმართველობების ძირითად უფლებებს, ის ეხება მხოლოდ დროებით მოვლენას; სანიტარული და სხვა გადასახადების აკრეფით გამოწვეულ ცხოვრების სიძვირესთან ბრძოლას. სასურველი კი იქნება გადაეცეს სათანადო კომისიებს დასკვნის გასაკეთებლათ, თუმცა დამფ. კრებას უმისოდაც შეუძლია მისი განხილვა და მიღება. კომისიებს უნდა დაევალოს, რომ შემდეგი სხდომისათვის წარმოადგინონ ეს დეკრეტი თავიანთი დასკვნებით.

სოც. დემ. ფრაქციის წინადადება მიღებულ იქნა.

**დ. თოფურიძის** მოხსენებით მოხდა სახელმწიფო ბანკის წესდების ნაწილის განხილვა. მეორე ნაწილის განხილვა შემდეგ სხდომაზე მოხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს

ხალხთა ლიგის საბჭოს სხდომა შესდგება მაშინვე, როგორც კი ვერსალის ხელშეკრულება ძალაში შევა.

სპარსეთის შაჰი ინკოგნიტოდ ჩავიდა პარიზში.

ინგლისში რკინის გზელთა გაფიცვა მთლად შესწყდა. შეთანხმების პირობები გამოქვეყნებულ იქნება.

მომავალ არჩევნებისთვის პარიზში რესპუბლიკანელთა ჯგუფებმა ეროვნული ბლოკი შეჰკრეს ბალშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპაში კვლავინდებურად მძვინვარებს ანტისემიტური ექსცესები. დარბევები ისე გახშირდა, რომ მოსალოდნელია ებრაელ მცხოვრებთა დასაცავად საზავო კონფერენცია ჩაერიოს.

ლეიპციგში დამოუკიდებლებმა გაფიცვაში მონაწილეობა არ მიიღეს და განაცხადეს, რომ კომუნისტური აჯანყებების დრო წავიდა.

ლიტვის კაბინეტი გადადგა.

არხანგელის მიმართულებით ბალშევიკებს მძლავრად უტევენ.

ბალშევიკებმა ქ. სევსკი აიღეს.

მოხალისეთა ჯარმა აიღო ვორონეჟი და სადგური გრაფსკაი და უმანისკენ უტევს.

მოსკოვში მასსიური დატუსაღება ხდება. ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა იარაღის საწყობები, დიდძალი ოქროული და განძეული, აგრეთვე ანტიბალშევიკური ლიტერატურა მემარჯვენე ესერებისა

სამხრეთ რუსეთში დენიკინის ჯარები ებრაელთა ქალაქებს ძარცვავენ და თვით ებრაელებს ხოცავენ. დარბევები ოფიციალურად ნება დართულია დენიკინის მიერ.

საყოველთაო მობილიზაცია ცარიცინში მუშების გაფიცვამ ჩაშალა. გაფიცვას ხელმძღვანელობდენ კომუნისტები, რომელთა ერთი ნაწილი დახვრიტეს, დანარჩენნი გაიქცნენ.

# უკანასკნელი ცნობები

**თერგის ოლქში.**

რედაქციის მიერ მიღებულ ცნობებით, დასავლეთ ინგუშთა ფრონტზე 28 სექტემბერს, ინგუშების რევოლიუციონური ჯარები, უზუმ-ხაჯის ხელმძღვანელობით, ეკვეთნენ გენ. შკუროს ჯარს, რომელიც გროზნისაკენ მიეშურებოდა. ბრძოლა სწარმოებდა სად. სლეპცოვსკთან. კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ გენ. შკუროს ჯარები სასტიკად დამარცხდნენ. ინგუშებმა ტყვეთ წამოიყვანეს 800 კაცი, ხელთ იგდეს 28 ზარბაზანი, 31 ტყვიისმფრქვეველი, 4 ათასი ტყვია და სხვა. გენ. შკუროს ჯარი კიზლიარისაკენ იხევს. („აზ").

**გენ. ჰარბორდი ბაქოში.**

5 ოქტომბერს ბაქოს ესტუმრა გენ. ჰარბორდი თავის ამალით. გენერალი და მისიის წევრი გაეცნენ აზერბეიჯანის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. მისიის წევრები ესაუბრენ ყველა უწყების წარმომადგენლებს. დაწვრილებით კითხულობდნენ და ეცნობოდნენ ქვეყნის ფინანსიურ მდგომარეობას, აზერბეიჯანის ვაჭრობა-მრეწველობის საქმეებს, მიწადმფლობელობას. მისიის წევრები დაინტერესდნენ აგრეთვე სასამართლოთი, ქვეყნის საექიმო სანიტარულ, სახალხო განათლების, და ჯარის მდგომარეობით. თვით გენერალი ჰარბორდი ხანგრძლივ ესაუბრა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. გენ. გამოსთქვა იმედი, რომ უთანხმოებანი სომხეთს და აზერბეიჯანს შორის მალე მოისპობა. მან თავის აღტაცება გამოსთქვა იმ წესრიგით, რომელიც სუფევს აზერბეიჯანში. გენერალმა გამოსთქვა იმედი, რომ საზავო კონფერენცია მიაქცევს დიდ ყურადღებას აზერბეიჯანის ხალხის სურვილს. (აზერბ.)

**რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მოწოდება სპარსეთის მუშებისა და გლეხებისადმი.**

7 ოქტომბრის ბაქოს ბალშევიკების გაზეთ „ბედნოტა"-ში დაბეჭდილია ვრცელი მოწოდება რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის საგარეო საქმეთა კომისარის გ. ჩიჩერინისა სპარსეთის მუშებისა და გლეხების მიმართ. მოწოდებაში აღნიშნულია თუ როგორ ებრძოდენ რუსეთის და ინგლისის მთავრობები სპარსეთის ხელში ჩასაგდებად და როგორ ხელს უწყობდა ამაში თვით სპარსეთის შაჰის მთავრობა, მოწოდება ასე თავდება: „ჩვენ მოვალეებათ ვთვლით ჩვენ თავს ერთხელ კიდევ დავადასტუროთ ის, რაც გააკეთა რუსის ხალხმა, რაც უკვე იყო აღნიშნული ჩვენს ნოტაში, რომელიც გაეგზავნა 20 ივნისს, 1919 წელს, სპარსეთის მთავრობას და რაც გამყიდველმა სპარსეთის მთავრობამ დაუმალა თავის ხალხს. სპარსეთის ყველა ვალები—რომელიც მეფის მთავრობის დროს იყო—გაუქმებულ იქნება. კასპიის ზღვა როდესაც განთავისუფლებულ იქნება ინგლისის იმპერიალიზმის ყაჩაღური გეგმებისაგან, გამოცხადდება თავისუფალ ზღვად და შეძლება მიეცემათ სპარსეთის ხომალდებს თავისუფალ ნავოსნობისა. საზღვრები სპარსეთის და საბჭოთა რუსეთს შორის დამყარდება თანახმად მოსაზღვრე მცხოვრებლების სურვილისა; შესწყვეტენ თავიანთ მოქმედებას რუსეთის ყველა ყოფილი სამხედრო და კერძო კონცესიები. გაუქმებულ იქნება კონსულთა იურისდიქცია, გაუქმებულ იქნება „უჩოტნი" ბანკი, სპარსეთის ყველა რკინის გზები, შარა გზები, საფოსტო დაწესებულებები, ტელეგრაფი და სხვა რომელიც რუსეთის ხელში იყო გადაეცემა სპარსეთის ხალხს. გაუქმებულ იქნება ყველა ის დაწესებულებანი, რომელიც იმონებდა და ხელფეხს უკრავდა სპარსეთის ხალხს. ჩვენი განთავისუფლების ჟამი მოახლოვებულია. ინგლისის კაპიტალი დამარცხდება: მის წინააღმდეგ ირაზმება თვით ინგლისის მშრომელი კლასი და რევოლიუციონური მოძრაობა ფართო ხასიათს ღებულობს. ახლოვდება ის დრო, როდესაც ყველა ქვეყნის კაპიტალისტები დაეცემიან თავიანთ ქვეყნისვე მშრომელ კლასის მიერ.

მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას აწარმოებს რუსეთის რევოლიუცია და მალე ჩვენი რევოლიუციონური წითელი არმია გამარჯვებული გაივლის წითელ თურქესტანით და მიუახლოვდება დამონებულ სპარსეთის საზღვრებს. რუსეთის მუშათა კლასი გიწვდით თქვენ ხელს, დამონებულ სპარსეთის ხალხს და, ახლოა ის დრო, როდესაც შეძლება მოგვეცემა განვახორციელოთ ჩვენი მიზანი, თქვენის დახმარებით".

**დაღესტანში.**

ბათუმის შავრაზმელების გაზეთი „ნაშ კრაი"-ს 7 ოქტომბრის ნომერში შემდეგი ცნობაა მოთავსებული: „ჩრდილოეთ კავკასიიდან მივიღეთ დასამშვიდებელი ცნობები. იქ გაგზავნილია საკმაო ძალები აჯანყების ჩასაქრობად".

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

8 ოქტომბერი.

**ფრანგული პრესის ცნობები.**

სპარსეთის შაჰი ინკოგნიტოთ ჩამოვიდა პარიზში.

იუწყებიან, რომ ვილსონი ეხლა უკეთესად გრძნობს თავს.

გერმანიის მთავრობამ ფოშის უკანასკნელ ნოტაზე უპასუხა, რომ მან შეუწყვიტა სურსათის და იარაღის მიწოდენა და ჯამაგირის ძლევა ბალტიის მხარეში მყოფ ჯარს. ფონ-დერ ჰოლცის მაგიერ ებერგარდი დაინიშნა.

**იტალიური პრესის ცნობები.**

რომის გაზეთები ამბობენ, რომ გუშინ ნიტტის თავმჯდომარეობით შესდგა სამხედრო კომიტეტის სხდომა, რომელზედაც სამხედრო და საზღვაო მინისტრებმა მოხსენებები გააკეთეს ჯარში გაცემულ ბრძანებათა შესახებ.

**ლიონის რადიო-სადგურის ცნობები.**

როგორც კი ვერსალის ხელშეკრულება ძალაში შევა, შესდგება ხალხთა ლიგის საბჭოს სხდომა, რომელსაც დაესწრება შეერთებულ შტატების, დიდი ბრიტანიის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის და აგრეთვე 4 სხვა სახელმწიფოს—ბელგიის, ბრაზილიის... (გამოტოვებულია) წარმომადგენლები.

ხალხთა ლიგის საბჭო დაუყონებლივ განიხილავს რამდენიმე სასწრაფო საკითხს. ივნისის 28 მოწერილ ხელშეკრულების თანახმად, უნდა დაინიშნოს 3 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც საფრანგეთის და გერმანიის წარმომადგენლების მონაწილეობით გაიყვანს საზღვრის ხაზს საარის გასწვრივ. დაინიშნება აგრეთვე კომისია დანციგში.

**ბოლშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი** ოქტომბრის 7. სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი. არხანგელის მიმართულებით რკინის გზის გასწვრივ არტილერიის დახმარებით მტერი მძლავრად უტევს ჩვენ პოზიციას. მურმანისკენ, ორივე მხრივ მზვერავები ენერგიულად მოქმედებენ. დანარჩენ რაიონებში მდგომარეობა უცვლელია. დასავლეთის ფრონტი. ლუგის დასავლეთით 30 ვერსზე ჩვენი ჯარი იბრძვის. გდოვისკენ მკაცრი ბრძოლით ჩვენმა ჯარმა მტერს ვარშავის რკინის გზის დასავლეთით დაახევინა და გდოვის სამხრეთ აღმოსავლეთით სოფელი აიღო. იაკობშტადტისკენ მკაცრი ბრძოლა გრძელდება. დანარჩენ მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია. კიევის რაიონში მკაცრი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგეს მდინარე ზდვიჟის აღმოსავლეთისკენ დაახევინა. მდ. ტეტერევის დასაწყისთან ხელთ ვიგდეთ მოწინააღმდეგის ხომალდი, დავლუპეთ ერთი ნავი. ჩერნიგოვის რაიონში ვოზელეცისკენ მოწინააღმდეგე მდ. ოსტერის იქით გადავდევნეთ. სამხრეთის ფრონტი. სევსისკენ ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგის წინააღმდეგობა სძლია და სევსკი აიღო. ლგოვისაკენ ბრძოლა სწარმოებს დმიტროვსკის სამხრეთ დასავლეთით 20—30 ვერსზე. კურსკისკენ ბრძოლა სწარმოებს ქ. კრომის სამხრეთით 20 ვერსზე. რკინის გზის რაიონში მოწინააღმდეგემ ჯავშნიან მატარებლის დახმარებით სადგ. ზმეევკასთან უკან დაგვახევინა. ლივნის ჩრდილო-დასავლეთით 25 ვერსზე მოწინააღმდეგის იერიში მოვიგერიეთ. კასტორნისკენ ელეცის სამხრეთ დასავლეთით 40—50 ვერსზე ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ გრძელდება. ვორონეჟის რაიონში მკაცრი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა პოზიციები დასტოვა. დონზე კოროტოიაკიდან ლისკამდე ბრძანებისამებრ ჯარი ახალ პოზიციებზე იხევს. მოწინააღმდეგის ცხენოსანმა ჯარმა აიღო ვორონეჟი და სად. გრაფსკაია და უმანისკენ უტევს. პავლოვის სამხრეთ აღმოსავლეთით 35 ვერსზე მკაცრი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა პავლოვსკი შეინარჩუნა და რამდენიმედ ჩრდილო აღმოსავლეთისკენ დაიხია. აქ ბრძოლა გრძელდება. სადგ. კლეტსკის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგე მდ. დონის მარცხენა ნაპირზე გადმოვიდა, მაგრამ უკუ ვაქციეთ და მდგომარეობა აღვადგინეთ. ცარიცინის ჩრდილო დასავლეთით არკანცევის რაიონში იერიშები მოვიგერიეთ. თურქესტანის ფრონტი. ურალსკის რაიონში ალექსანდროვსკაიას ჩრდილო აღმოსავლეთით 75 ვერსზე ბრძოლის შემდეგ დავტოვეთ ჩიჟინსკის ფორპოსტი. ურალსკის სამხრეთ აღმოსავლეთით 10 ვერსზე მენოვოი დვორის რაიონში შემოტეულ მტერს ვებრძვით. ორსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით 70 ვერსზე მოწინააღმდეგის მცირე ბრბოებთან შეტაკებაა.

აღმოსავლეთის ფრონტი. კურგანის რაიონში ტობოლის მარჯვენა მხარეზე მზვერავ რაზმების შეტაკებაა. კურგანთან მტერი მდინარეს უახლოვდებოდა მასზე გადმოსასვლელად, მაგრამ სროლით უკუ ვაქციეთ. იალუტოროვის რაიონში იშიმის რკინის გზის სამხრეთით ბრძოლით გავედით მდ. კამაირის ველზე, 100 ტყვე წამოვიყვანეთ და ხელთ ვიგდეთ 4 ტყვიის მფრქვეველი. რკინის გზის ჩრდილოეთით შეტევას განვაგრძობთ. ტობოლსკის რაიონში მდგომარეობა უცვლელია.

„სრ. რ. ც. ა. კ. იზვესტია"-ში ლაცისი სწერს: „რადგანაც აღმოჩენილ იქნა თეთრ გვარდიელთა მრავალი შეთქმულება, საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო მიემართა მასიურ დაპატიმრებათათვის, რაც სულ ეხლახან დაიწყეს, მაგრამ შედეგები კი დიდია. იარაღის საწყობების გარდა აღმოჩენილია დიდძალი ოქროული და განძეული, მრავალი საბუთები, საბჭოთა საწინააღმდეგო 30,000 პროკლამაცია და მემარჯვენე ესერების ფურცლის „დელო ნაროდა"-ს სტამბა. აღმოაჩინეს აგრეთვე მემარჯვენე ესერების გაზ. „თავისუფალ წითელ არმიელის ხმა", აწყობილი და დაბეჭდილი.

**ლიონი.** ოქტ. 6. ოქტომბრის 5 ლოიდ ჯორჯი [illegible] რკინის გზელთა გამფიცველ კომიტეტს, რომლის დროსაც გამოაქვეყნეს ფურცელი გაფიცვის [illegible] პირობები გამოქვეყნებული იქნება.

სამხრეთ რუსეთიდან [illegible] ცნობები, [illegible] ქალაქებს სძარცვავენ და ჰლეტავენ ებრაელებს. ეს დარბევები გაგრძელებაა პეტლიურას ჯარის მიერ ამას წინად მოხდენილ დარბევებისა და ოფიციალურად ნება დართულია დენიკინის მიერ. ებრაელების მიმართ დენიკინი ძველ რეჟიმს აღადგენს. მისი ჯარის კაცები პირდაპირ მოუწოდებენ დარბევისთვის. სექტემბერში მრავალი ათასი ებრაელია დახოცილი. დენიკინის ბრბოები აცხადებენ, რომ ოქტომბერში ორჯერ მეტს დახოცავენ. დარბევის მომწყობთ და მონაწილეთ არავინ სჯის.

**სარატოვი.** ოქტ. 6. ცარიცინის გაზეთი „პრიზივ"-ის ცნობით, საყოველთაო მობილიზაცია მუშების გაფიცვამ ჩაშალა. გაფიცვას ხელმძღვანელობდნენ კომუნისტები, რომელთა ერთი ნაწილი დახვრიტეს, დანარჩენნი გაიქცნენ.

**სარატოვი.** ოქტ. 6. „კუბანსკი კრაი"-ს ცნობით, როსტოვის გაზ. „პრიაზოვსკი კრაი" ქალაქის უფროსმა 50000 მან. დააჯარიმა იმის გამო, რომ მასში დაბეჭდილი იყო მენშევიკების და ესერების რეზოლიუცია ბალშევიკების და საბჭოთა რუსეთის მხარის დაჭერის შესახებ.

**ლიონი.** ოქტ. 6. მომავალ არჩევნებისთვის პარიზში რესპუბლიკანელთა ჯგუფებმა ეროვნული ბლოკი შეჰკრეს ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

**ლიონი.** ოქტ. 6. სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპაში კვლავინდებურად მძვინვარებს ანტისემიტური ექსცესები. დარბევები ისე საშინლად გაიზარდა, რომ მოსალოდნელია, ებრაელ მცხოვრებთა დასაცავად საქმეში საზავო კონფერენცია ჩაერიოს.

**მოსკოვი.** ოქტ. 7. ლოზუნგი ასეთია: მთელ ქვეყანაზე კვდება ბურჟუაზიულ-მემამულეთა წესწყობილება. დენიკინი ოცნებობს მუშათა მთავრობა ჩამოაგდოს მეფის თვითმპყრობელობის გასამეფებლათ. ამხანაგებო, ყველამ იარაღი აიღეთ და ფრონტზე გასწიეთ! ნუ დაუშვებთ აზნაურ-მახინჯებს ჩვენს თავისუფალ მიწაწყალზე. ნიკოლოზი უკანასკნელი მეფე იყო, დენიკინი მისი უკანასკნელი გენერალი იქნება. მთელი ძალები ფრონტს მიმართეთ, თუნდაც ამან დროებით შეაჩეროს ცხოვრება ზურგში. ყველაფერი ჩქარი გამარჯვებისთვის! ყველაფერი უკანასკნელ ბრძოლისთვის! ომის გათავება მხოლოდ ჩვენი გამარჯვებით შეიძლება.

# სიმბოლიზმი ქართულ ლიტერატურაში

(დასასრული)

IV

საიდან გაჩნდა ეს მოძრაობა, რა სოციალურ პირობებში წარმოიშვა იგი?

ჩვენთვის, ეკონომიურ მატერიალისტებისათვის, არაფერი არ არის ამ ქვეყანაზე გასაკვირი და გასაოცარი, აუხსნელი და გაუგებარი. ჩვენ რომ მეტაფიზიკოსები და იდეალისტები ვიყოთ, მაშინ სულ სხვა იქნებოდა ძიების მეთოდი ყოველ ფეხის გადადგმაზე დაგვაყენებდა „გამოუცნობ და საოცარ მოვლენათა" წინაშე და ჩვენც სიმბოლისტებთან ერთად დავიწყებდით უაზრო ფოთიალს. მარქსისტმა იცის ბუნების მოვლენათა მიზეზები, იცის ადამიანთა ცხოვრების მამოძრავებელი ძალა. მისი შეხედულებით, იდეები ზეციდან არ ვარდება, მიწის ანარეკლია, აქ ჩასახულია და აქვე გაზრდილია. მიწიერმა მდგომარეობამ შექნა შეგნება, ეს წუთისოფელია ამა თუ იმ მსოფლმხედველობის წყარო და წარმომშობი.

სიმბოლიზმიც სრულიად მიწიერი მოვლენაა და ყველა მის მისწრაფებათა დასაწყისი—მისტიციზმის, ინდივიდუალიზმის, ანტისაზოგადოებრიობის და სხვ.—აქ, ამ ცოდვილ ქვეყანაზე უნდა ვეძიოთ.

სიმბოლიზმი თანამედროვე ბურჟუაზიის მსოფლმხედველობა და მსოფლშეგრძნებაა. ეს ფილოსოფიაა, რომელიც აგრე უახლოვდება დრომოჭმულ თეოლოგიას, ჩამავალი კლასის მრწამსია, სასიკვდილოთ გამზადებულთა სულისკვეთებაა. ის უსისტემობა და ულოღიკობა, რომელიც სიმბოლიზმს ახასიათებს, ყოველთვის თან მიჰყვება ხოლმე საზოგადოებრივ აზროვნებას რაიმე კატასტროფის მოვლინების წინაშე. როდესაც საზოგადოებრივი კლასი თავის თავს ცეცხლით მფშინავ მთაზე გრძნობს და არ არის ისეთი წამი, როცა იგი დამშვიდებით შეყურებდეს თავის მომავალს, არ იცის რას მოუტანს ხვალინდელი დღე და მუდამ შიშით თრთის,—აი ამ დროს ყოვლად შეუძლებელია რაციონალურ აზროვნების შეჩერება, გონების ფარგლებში დარჩენა და საზოგადოებრივ მოვლენათა სალი ანალიზი. ასეთ ხანაში გონება და აზროვნება უკან დგება და პირველ ადგილს გრძნობა იჭერს, გრძნობა ბუნდოვანი, ულოღიკო, გაურკვეველი და ცვალებადი.

ევროპის ბურჟუაზიამ უკვე კარგა ხანია, რაც თავისი თავი საშიშ მდგომარეობაში იგრძნო; მან აშკარად დაინახა, რომ დასაყრდნობი ნიადაგი შეერყა და ამის მიხედვით მისი მსოფლ მხედველობაც ერთიანად ამოვარდა იმ რწმენით და აღფრთოვანებით სავსე კალაპოტიდან, რომელშიც იგი იდგა თავისი ისტორიის განთიადზე—მე-18-ტე საუკუნეში და საფრანგეთის რევოლიუციის დროს.

სოციალიზმი, დეიზმი, მატერიალიზმი—ყველა ამ მოძღვრებათა საფუძვლების ჩამყრელი ახლად წელში გამართული და ფეოდალიზმის წინააღმდეგ გმირულად მებრძოლი ბურჟუაზია იყო. მაგრამ გადის დრო, ბურჟუაზია ვაჟკაცდება, აი სიბერეც ეპარება და ისიც თანდათან ზრდასთან ერთად ნელ-ნელა სტოვებს მატერიალისტურ ფილოსოფიის მებრძოლ პოზიციებს და აშკარად მიექანება სხვადასხვა ფერის იდეალიზმისაკენ, ეფარება მეტაფიზიკას.

ერთ დროს ოპტიმიზმითა და მომავლის იმედებით აღჭურვილ კლასს, დღეს სხვადასხვა გვარის პესიმიზმი იპყრობს, იგი თრთის, ნერვიულობს ხან ტიტანიურ ბრძოლას უცხადებს არსებულ პირობებს და ნიცშეს პირით ღაღადებს ზეკაცის საჭიროებაზე, ხან, ხედავს რა „ყველაფრის წარმავლობას", დღიურ ლოზუნგათ პირად სიტკბოების მოპოვებას აყენებს და ხან კიდევ საკუთარის უძლურების შემგნები, მორწმუნედ იხრის ქედს სინამდვილის წინაშე და მხოლოდ „სხვა ქვეყანათა" განცდა-განჭვრეტით უნდა ინუგეშოს თავი.

ბურჟუაზიულმა წესწყობილებამ ყველა ადამიანი გაათანასწორა, ყველა ერთი მეორეს დაამსგავსა და დაუმონა, განსხვავება პიროვნებათა შორის წაიშალა, ყველა ერთმანეთს ემსგავსება, პირად კარჩაკეტილ სულისკვეთებას ბოლო ეღება და თანდათან უმზადდება ნიადაგი სრულიად ახალ და ისტორიისთვის უცნობ მოვლენას—კოლექტივს—პიროვნებათა კრებულს. ასე რომ პიროვნების მაგიერ მომქმედ და მოაზროვნე პირად კოლექტივი ხდება. ძველად, ფეოდალიზმის დროს, როცა სოციალური საფუძველი ინდივიდუალური იყო—თითეულ პიროვნებას და კუთხეს შეეძლო სხვის დაუხმარებლივ ცხოვრება, ერთმანეთის საჭიროება არ იყო—შეგნებაც ინდივიდუალური იყო. ეს იყო ხანა მაკბეტების, ვილჰელმ ტელების, მარკიზ პოზების, სააკაძეების.

ბურჟუაზიულმა ურთიერთობამ კი პიროვნების ადგილს კოლექტივი წარმოშვა; ფეოდალიზმის დროს თუ ერთი შალის მოქსოვას ერთი პიროვნება აბერხებდა, დღეს ეს შეუძლებელია—ერთი შალის მოქსოვაში ადამიანთა მთელი რიგი იღებს მონაწილეობას: ზოგი ცხვარს აძოვებს და მატყლს ამზადებს, ზოგს ეს მატყლი ერთი ადგილიდან მეორეში გადააქვს, რიგი ართავს, რიგი ქსოვს, ღებავს და სხვა. ყველა ეს პირები ერთი მეორისაგან არიან დამოკიდებულნი და ერთმანეთსაც ანგარიში უნდა გაუწიონ, მაშასადამე საკუთარი „მეს" სურვილებიც უნდა შეზღუდონ და სხვას შეეგუონ.

სწორედ ამ ერთი მეორესთან შეგუებაში ინასკვება საშინელი დრამა. ბურჟუაზიის ერთი ნაწილი, რომელშიც ჯერ კიდევ ძლიერია ძველი ინდივიდუალური მისწრაფებანი, საშინელ პროტესტს უცხადებს ამ „ერთი მეორის მიმსგავსების" პროცესს, მას არ უნდა საკუთარი სახე დაჰკარგოს და სხვაში გაითქვიფოს. ის ხდება უკიდურეს ინდივიდუალისტად და გაბედულად უპირდაპირებს თავის თავს საზოგადოებას.

ამგვარი ბრძოლის ფილოსოფოსია ნიცშე თავისი ზე-კაცის იდეით; ხოლო მხატვრულ ლიტერატურაში იბსენი თავისი „ბრანდით", „ექიმ შტოკმანით" და სხვა. სტოკმანი გმირულად უპირდაპირებს თავის თავს საზოგადოებას და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძვის გაერთიანებულ უმრავლესობას. ბრანდი არაფრის წინაშე ქედს არ იხრის, „ან ყველაფერი, ან არაფერი"—იძახის ანარქისტულად და მანამდის არ ცხრება, სანამ მთით მოხეთქილი ზვავი არ შთანთქავს. ასეთ ნაირად ხასიათდება მოკლეთ ბურჟუაზიის ერთი ფრთა. მეორე ფრთაც პირველივით აფასებს მდგომარეობის სერიოზობას და რაკი ხედავს, რომ „ბედს მაინც ვერ წაუვა", თავს ანებებს ბრძოლას და პირადის სიამოვნების დაკმაყოფილებაზე ოცნებობს. „Лови минуту наслажденія", აი მისი დევიზი.

მესამე მიმდინარეობა—ეს სიმბოლისტების გზაა: უბედურების წინაშე ქედის მოხრა, ბედისწერის წინაშე ლაჩრულად წამოჩოქება და საკუთარი უძლურების აღიარება,—აი პირველი მცნება ამ ფილოსოფიისა. ბურჟუაზია, როგორც კლასი იღუპება, დავიღუპებით ჩვენც, ხსნა არ არის, მაშასადამე „იყავნ ნება შენი", ამბობენ ხელაპყრობით სიმბოლისტები. მაგრამ სული მაინც მწარეა და მისი დატკბობაც აუცილებელია. ამიტომ იქმნება ერთგვარი ილიუზია, თავისი თავის მოტყუილება მეორე, უცნობი და ჯადოსნური ქვეყნის შესახებ. დავივიწყოთ ეს საზიზღარი წუთისოფელი, ფურთხი მას, მო, გავსწიოთ საოცნებო ქვეყნისკენ და იქ დავწყნარდებით, იქ ვცხონდებით.

მოკიდეთ ხელი ჰაშიშს, კოკაინს, ღვინოს, ქალებს, აათამაშეთ გრძნობები, უკუაგდეთ გონება და ლოღიკა, იხედეთ ზეცისკენ, იფიქრეთ მისტიურად სულიწმიდაზე,—აი რას ქადაგებენ სიმბოლისტები, ეს ბურჟუაზიის უდღეური წიწილები. მოხდა ის, რაც მრავალჯერ მომხდარა გარდამავალ ხანაში—გაბატონებულ კლასის დამფრთხალი გონება ზეცას, მეორე უხილავ ქვეყნის იდეას შეფარებია და იქ მოუნდომებია საკუთარი წყლულების განკურნება.

ხოლო ის კლასი, რომელიც ამომავალად გრძნობს თავს, მებრძოლის პოზიციები უჭერია და თავგანწირვით იბრძვის, ვერასოდეს ვერ თანაუგრძნობს ასეთ აზროვნებას. მისი ფილოსოფია—ბრძოლის ფილოსოფიაა, მაგრამ ბრძოლის კოლექტიურის და არა ინდივიდუალურისა დემოკრატიას, რომელიც მოწოდებულია ბურჟუაზიული ურთიერთობის ნანგრევებზე საკუთარი დროშა ააფრიალოს, არაფერი საერთო არა აქვს სიმბოლისტების მეორე ქვეყანასთან, მისი ყურადღება მხოლოდ და მხოლოდ ამ ქვეყნიურ კითხვებზეა მიქცეული.

რა არის დემოკრატიისთვის მისაღები და საყურადღებო ე. წ. მოდერნისტულ მიმართულებიდან, ამაზე ლაპარაკს აქ არ გამოვუდგებით, სხვა დროისთვის იყოს, ხოლო აქ კი უნდა შევნიშნოთ შემდეგი: ჩვენ ლაპარაკი გვქონდა სიმბოლიზმზე, როგორც ერთგვარ ფილოსოფიურ-ლიტერატურულ მიმდინარეობაზე, არის მეორე გვარი სიმბოლიზმი—სიმბოლიზმი მხატვრულ განსაზოგადოებისა, რომლის უდიდესი წარმომადგენელი ემილ ვერჰარნია. ამ სიმბოლიზმს არაფერი კავშირი არა აქვს ჩვენგან განხილულ სიმბოლიზმთან, ვერჰარნის სიმბოლიზმი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია მუშათა კლასისა და კიდევაც იმიტომაა, რომ ეს მუშათა პოეტი გენიოსი დემოკრატიისთვის თაყვანსაცემ მოვლენას წარმოადგენს.

V

ჩვენ მოკლეთ და კონსპექტიურად განვიხილეთ სიმბოლიზმი, როგორც პსიქოლოგიურის ისე ისტორიულის მხრივ, გავეცანით ერთის მხრივ მის შინაარსს, მეორე მხრივ წარმომშობ მიზეზებს მკითხველს ადვილად შეუძლია ამ თვალსაზრისით მიუდგეს ჩვენს სიმბოლისტებსაც. ციტატების მოყვანით მკითხველს ვერ მოვაწყენ თავს—წერილის სივრცე ნებას არ გვაძლევს—ხოლო მოკლეთ ვიტყვით, რომ ყველა ის თვისებები რომლითაც აღჭურვილია საზოგადოთ სიმბოლიზმი, ჩვენს სიმბოლისტების ნაწერებსაც ასე თუ ისე ახასიათებს. მისტიკა, გაურკვევლობა და ბურუსი, რეალობის უარისყოფა და „საგნებს იქითურ" ქვეყნის ძებნა, ეროტიკა, ექსტაზი—ხშირათ შეგხვდებათ მათ ნაწერებში, რომელთა გაგება აგრე ძნელია და ხშირათ ულექსიკონოთ შეუძლებელიც კი. ყოველივე ეს, როგორც ვნახეთ, საზოგადოთ ახასიათებს სიმბოლიზმსაც.

რასაკვირველია, ჯერ ჯერობით, სანამ ჩვენი სიმბოლიზმი ფეხ ადგმის პროცესშია, მის სერიოზობაზე ლაპარაკი ზედმეტია, სანამ რაიმე თვალსაჩინო მხატვრული ღირებულება მას არ შეუქმნია, მოსალოდნელია, რომ სულ აღიგავოს პირისაგან ქვეყნისა, მაგრამ ჩვენ მაინც თუ ვწერთ მისს შესახებ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ამ ბოლო დროს ასე ახმაურდა და თავის ნამოქმედარს რუსულ საზოგადოებასაც კი აწვდის. ყოველივე ეს, რასაკვირველია, მოდის ბრალია და წარმავალი, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა მას ანგარიში გავუწიოთ.

რა გააკეთა ჯერ ჯერობით მან, რა შესძინა ქართულ ლიტერატურას?

ჯერ ჯერობით ჩვენი სიმბოლიზმი დეკლარაციების და მანიფესტების ხანაშია, მასში ბატონობს თეორია და გულწრფელ და ფართო შემოქმედებას ნაკლებას აქვს ადგილი. სიმბოლიზმის განცდას და მსოფლ შეგრძნებას განსაკუთრებულის ტიპის ადამიანი უნდა, ადამიანი ნერვიული, ქალაქის ცხოვრებით გაქლენთილი და მთვრალი, დაღლილი და დამფრთხალი.

არიან ასეთი ტიპის ადამიანები ჩვენში, ნახევრად ფეოდალურ ურთიერთობაში (დღევანდის მაინც ხომ აგრე იყო)? შეიძლება იყოს და მართლაც არის, მაგრამ ასეთი ადამიანები უფრო ფეოდალური არისტოკრატიული საქართველოს შვილებია, ვიდრე ბურჟუაზიულის. მაგ. ტრ. რამიშვილის დრამის „საბედისწერო დამბაჩის" გმირი—თავადი რეზიკო—უთუოდ სიმბოლისტურად მოაზროვნე ტიპია. შანშიაშვილის შემოქმედებაშიც ნახავთ სიმბოლისტურ შეგრძნების ელემენტებს და ეს იმიტომ, რომ შანშიაშვილის პოეზიის სოციალური სარჩული ჩვენი ფეოდალური ინტელიგენციის სულის კვეთებაა.

აკი აღნიშნა განსვენებულმა არჩილ ჯორჯაძემ, რომ ჩვენმა ახალმა პოეზიამ ორგვარი მიმდინარეობა მიიღო—რაციონალური და ირრაციონალური, უკანასკნელ ხაზად მას შანშიაშვილ გრიშაშვილის გეზი მიაჩნდა. მაშ ჩვენი სიმბოლისტები არც ისეთი ნოვატარები ყოფილან, როგორც გვარწმუნებდნენ და გულუბრყვილოთ ეხლაც აჯერებენ.

დასასრულ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი სიმბოლისტებისაგან დიდს არაფერს უნდა მოველოდეთ—ნახევრად ნასესხები აზრი და გრძნობა ახა რას მოუტანს,—ვინაიდან რაიმე თვალსაჩინო ლიტერატურული მიღწევა ამ მიმართულებას არც სხვაგან შეუქმნია. რუსეთის სიმბოლისტებში, მაგ. კარგა ხანია რაც აშკარად აღიარეს თავიანთი სიკოტრე და ისევ რეალიზმის საჭიროება აღიარეს; და რაღა ჩვენში მოხდება სასწაული და რობაქიძე იაშვილები რაიმე ღირსშესანიშნავი დარჩებიან? გაივლის მოდა, ჩვენი ყმაწვილებიც დადუღდებიან და აშკარად დავინახავთ, რომ შეურყეველი და მუდამ ახალი და მიმზიდველი, მხოლოდ ის მიმართულება ყოფილა, რომელსაც რეალიზმი ეწოდება და რომელიც დაუშრეტელი წყაროა ახალ-ახალი იდეებისა და გრძნობების.

ვარლამ ხუროძე.

ღრმად დამწუხრებულნი: ბებია ნატალია, ბიძები: დეკ. ზაქარია, ივანე, აფთონი და პავლუშა; მამიდები: თეო და ელათი; ბიცოლეები: მინორა, ევრაქსი, ფლორენცია და თამარა; ჯუმადიები: ფრიდონ შარაშიძე და დეკ. ნესტორ შაქარიშვილი, ბიძაშვილები და მამიდაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროოდ გარდაიცვალა მათი საყვარელი

# არჩილო

(2641—2—1)

მოსკოვი. ოქტომბრის 7 სამხრეთის ფრონტზე ოქტომბრის 4 და 5 ჩავიდა რამოდენიმე 100 პეტერბურგელი კომუნისტები. მწყობრად, რევოლიუციონური დროშით და რევოლიუციონური სიმღერებით გაიარეს პეტერბურგელებმა მათ სიტყვებით მიესალმნენ სამხრეთის ფრონტის პოლიტიკურ განყოფილების რევოლიუციონურ საბჭოს წარმომადგენლნი. ჩამოსულებმა განაცხადეს, რომ მზათ არიან ან დაიხოცნენ და ან გაიმარჯვონ. მათ ზეიმით გადასცეს წითელი დროშები სამხრეთის ფრონტის პოლიტიკურ განყოფილებას. პეტერბურგელებმა ყველამ მიიღო საპასუხისმგებლო თანამდებობა, რამაც უფრო ასწია მათი რევოლიუციონური განწყობილება, რომელსაც ისინი უახლოეს დღეებში მთელ სამხრეთის ფრონტს მოსდებენ.

**ბერმანული პრესის ცნობები.**

„ფრანკფურტერ ცეიტუნგ“ მა დაბეჭდა სირიაში ოსმალეთის მთავარ სარდლად ნამყოფ ჯემალ-ფაშას მემორანდუმი, რომელშიაც ავტორი პირველ ყოვლისა უარყოფს იმას, რომ ოსმალეთის ომში ჩარევა დანაშაული იყო მოკავშირეთა წინააღმდეგ. შემდეგ ჯემალ-ფაშა უარყოფს თავის პასუხისმგებლობას სომხების ჟლეტაში და აცხადებს, რომ მის მოგონებებში, რომელიც მალე გამოვა, განმარტოებული იქნება ოსმალეთის პოლიტიკა და მოყვანილი იქნება იმის დასამტკიცებელი ფაქტები, რომ ოსმალეთის მფარველობით სარგებლობდა მრავალი ათასი სომეხი, რომელნიც დევნასა და სიკვდილს გადაარჩინა. ჯემალ ფაშა იმოწმებს მრავალ შვეიცარიელს, ამერიკელს, ინგლისელს და ფრანგს, რომელნიც ადგილობრივ ადევნებდნენ თვალ ყურს სირიაში ჯემალფაშის მოქმედებას და სომხებისადმი მოპყრობას ის ირწმუნება, რომ თალაათი და ენვერი აგრეთვე დაამტკიცებენ, რომ მათ არავითარი კავშირი არა ჰქონიათ სომხების ამოხოცვასთან.

ბერლინში ჩამოდის ჩეხო სლოვაკიის დელეგაცია სავაჭრო ურთიერთობის გაახლებლად.

ლეიპციგში დამოუკიდებლებმა გაფიცვაში მონაწილეობა არ მიიღეს და განაცხადეს, რომ კომუნისტურ აჯანყებების დრო წავიდა.

გერმანელი მფრინავი ფრიდრიხ ხრისტიანსენი კარგად გადაფრინდა ბერლინიდან ნორვეგიაზე ჩრდილოეთის კონცხამდე და უკან დაბრუნდა.

ლიტვის კაბინეთი გადადგა.

ფინეთიდან იუწყებიან, რომ სექტემბრის 25 დან ოფიციალური წინასწარი მოლაპარაკება დაიწყო ბალტიის პროვინციებთან.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**დენიკინელების მუქარა**

დენიკინელების გაზ. „ნაშ კრაი“ ს 7 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულია შემდეგი მეთაური:

„ბაქოს გაზეთები იტყობინებიან, რომ პეტროვსკში თავი მოიყარა გენერალ შკუროს ჯარმა. უკანასკნელის სახელი ყველგან შეცდომით არის მოხსენებული. მდგომარეობა უმთავრეს ფრონტზე, საიდანაც ყოველდღე მოსალოდნელია დიდი კრიზისის საბოლოოდ გადაწყვეტა, შეუძლებელს ხდიდა, რომ პოპულიარულ გენერალს მიეტოვებინოს ის ფრონტი. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვკარგავთ იმედს, რომ კიხილავთ გენ. შკუროს ჩვენს ამიერ კავკასიის ფრონტზედაც, საიდაც არა ნაკლები სამუშაო ექნება იმის მცველთა ასეულს. ჯერჯერობით კი სინამდვილეს წინ უსწრებს, თუმცა ცხადია რომ მოხალისეთა არმია მხოლოდ მას მიანდობს რუსეთის შელახულ უფლებების აღდგენას. დეე, არ იყოს შკურო, იყოს სხვა ვინმე და იმავე ბაირაღის დამიზნით თავი მოუყაროს პეტროვსკში საკრძნობ ძალას. თუ ეს ფაქტი მართალია, მაშინ აჯანყებულებს და მით უმეტეს მათ სულის ჩამდგმელთ შეუძლიანთ თავიანთი მიზანი სისრულეში მოყვანილად ჩასთვალონ: მოხალისეთა ფრონტი დასუსტდა და მისი ყურადღება პეტროვსკის ფრონტმა მიიპყრო. მაგრამ როგორც სჩანს მდგომარეობა იმდენათ ხელსაყრელია და კარგი დენიკინისათვის, რომ ფრონტის დასუსტებამ არავითარი გავლენა არ მოახდინა მთავარ ოპერაციებზე. ისიც ცხადი ხდება, რომ თვით აჯანყებამ არ მიიღო ისეთი ხასიათი, როგორსაც ელოდენ თბილისში და პეტროვსკში. ცხადია, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობები მონაწილეობას იღებდნენ აჯანყებაში, ისინი ეხმარებოდნენ ბუნტოვშჩიკებს. დამტკიცებულია, რომ იარაღს და ფულს აწვდიდენ, უკანასკნელ გამოსვლებს თფილისის მთავრობისას შეუძლიან მოთმინების ფიალა აავსოს მოხალისეების და აიძულონ მოხალისეები გადამჭრელ ზომებს მიჰმართონ და არამც თუ ჩააქრონ აჯანყება, არამედ მოსპონ იგი მომავლისთვისაც. თფილისის მთავრობის უკანასკნელ გამოლაშქრებათ ჩვენ ვთვლით გეგეჭკორის ნოტას, რომლითაც მან მიმართა ამიერ კავკასიაში მყოფ მოკავშირეთა მისიას. გაზეთს მოჰყავს გეგეჭკორის ნოტის ადგილი და დასძენს. თუ საქართველოს მშვიდობიანობა ასე ძვირფასია ბ. გეგეჭკორისათვის და მის ამხანაგებისათვის, ვინ უშლით მათ შეეცადონ დაიცვან ეს სიმშვიდე და არ ჩაერიონ სხვის საქმეებში და არ დაარღვიონ თავიანთი მოურიდებელი აჩრდილისებური „ნეიტრალიტეტი“. გაზეთი აღნიშნავს, რომ გეგეჭკორის ლოცვა-კურთხევით განაგრძობს თავის მუშაობას მთიელთა მეჯლისი. რუსეთის მთავრობას, არა ნაკლებ თფილისისას, „არ შეუძლიან არ მიიღოს მონაწილეობა“ და ყურადღება არ მიაქციოს, რომ მის მეზობლათ სწარმოებს ინტრიგა რუსეთის წინააღმდეგ და ანარქია მძვინვარებს. ცხადია, რომ გასაღები აჯანყების ჩაქრობის არის არა დაღესტანში, არამედ ამიერ-კავკასიაში. შესაძლებელია თფილისის მთავრობას სურს დაანახვოს რამდენათ ხელსაყრელია მოხალისეებისათვის, დაიჭირონ მათთან მეგობრული კავშირი, რომელსაც მშვიდობიანობის დამყარება ჩრდილო-კავკასიაში დათმობით უხდება. იმის და მიუხედავათ, რომ მოხალისეთა ჯარს სურს არ გაართულოს კავკასიის პრობლემა, მაინც ის ბოლოს მოიგონებს, რომ მიუხედავათ მათი მინისტრობის ტიტულობისა და ხარისხის, ბატ. გეგეჭკორები ძლიერ ნაკლებათ განსხვავდებიან ურუნ აჯედოვის, ალი ხაჯის და სხვა დაღესტნის ავანტიურისტებისაგან. ამ მხრივ საქმეს ვერ გამოასწორებს ვერავითარი უცხო სახელმწიფოთა ჩარევა, რომელთაც ასე გულმხურვალეთ მოუწოდებ და თფილისი. აჯანყებას რუსეთი იარაღით ჩააქრობს. ვინც აჯანყებას მიემხრო თავის სიბნელით და შეუგნებლობით, რუსეთი მათ აპატიებს, მხოლოდ წამქეზებლების წინააღმდეგ იქნება მიღებული ზომები, რათა მომავალში შიში აღარ მოელოდეს ჩრდილო კავკასიის მშვიდობიანობას. აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს სანტიმენტალისტობას და მაღალ ფრაზებს, მით უმეტეს უდროვო და არამკითხე რჩევებს“.

## ახალი ამბები

**კოოპერატივთა წარმომადგენლების** ყრილობა გუშინ არ გაიხსნა, რადგანაც სარევიზიო კომისიას და ზედამხედველ საბჭოს ჯერ არ დაუმთავრებიათ დასკვნების გაკეთება. ყრილობა გაიხსნება დღეს 11 საათზე. უკვე ჩამოსულია 150-მდე დელეგატი. დელეგატებისათვის მუშათა კლუბში მოწყობილია იაფ-ფასიანი სადილი, დამზადებულია აგრეთვე უფასო ბინები.

◆ **სენატის თავმჯდომარეს** იუსტიციის მინისტრმა ე გეგეჭკორმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნა ახლად არჩეულ სენატის თავმჯდომარეს ხელთუფლიშვილს და სთხოვა, რომ ჩამოვიდეს ამ მოკლე ხანში და შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას.

◆ **თფილისის ქალაქის გამგეობა** აცხადებს ამა წლის ერთდროულ სანიტრულ ეპიდემიური გადასახადის გადამხდელთა საყურადღებოთ, რომ ამ გადასახადის შემოტანის პირველი ვადო განსაზღვრულია ა. წ. ოქტომბრის 10-დე გადასახადი მიიღება, როგორც ქალაქის სალაროში (კასაში), ისე უბნების აგენტების და მათი ხარჯთ-ამკრეფ მოხელეების მიერ, რომელთაც აქვთ საქალაქო გადასახადების მოკრეფის უფლებაზე გამგეობის სათანადო მოწმობები.

◆ **ჟურნალ „განათლების“ გამოსაცემათ.** განათლების სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა მან თფილისის გუბერნიის მასწავლებელთა კავშირის გამგეობას აღმოუჩინოს ერთდროული დახმარება 30,000 მანეთით პედაგოგიურ ჟურნალ „განათლების“ გამოსაცემათ. ამასთანავე განათლების სამინისტროს განზრახული აქვს, ამ ჟურნალის გავრცელების მიზნით, მისი გამოწერა დაავალოს რესპუბლიკის ყველა სასწავლებელს.

◆ **მისასალმებელი დეპეშა.** სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა აფხაზეთიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: აფხაზეთის სოც.-დემოკ. ორგანიზაციების ყრილობა სალამს უძღვნის რეაქციის წინააღმდეგ შეიარაღებულ დემოკრატიის ხელმძღვანელ სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს, იმ გვარდიის, რომელმაც ასე ჰარმონიულათ მოათავსა მშრომელ ხალხის სამსახური დიად იდეალის—ბალხთა ძმობის—სამსახურთან, სახალხო გვარდია, რომელმაც განბანა თავისი სისხლით წითელი რევოლიუციონური საერთაშორისო პროლეტარიატის დროშა, არის საუკეთესო დარაჯი სოციალიზმის საქმის კეთებისა ჩვენს ქვეყანაში.

◆ **ჟურნალ „ნაკადულისათვის“** განათლების სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა მან აღმოუჩინოს ყოველთვიურათ 10,000 მან. დახმარება საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციას.

◆ **სახალხო მასწავლებელთა სახლი.** განათლების სამინისტროს განზრახული აქვს დაარსოს თფილისში „სახალხო მასწავლებელთა სახლი“, სადაც მოწყობილი იქნება ბინები პროვინციიდან ჩამოსულ მასწავლებელთათვის, პედაგოგიურ ჟურნალის რედაქცია, ცენტრალური პედაგოგიური ბიბლიოთეკა, ლექციების წასაკითხავი აუდიტორია და სხ. ამავე შენობაში მოთავსებულ იქნება ეროვნულ მუზეუმთან არსებული საჯარო წიგნთ-საცავი. ამ მიზნის განსახორციელებლათ განათლების სამინისტრო შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა მან დაუთმოს მას მიწადმოქმედების სამინისტროს შენობა, როდესაც ის განთავისუფლდება.

◆ **დანიშვნა.** რ. ბ. ხუციშვილი დაინიშნა ფიზიკურ ობსერვატორიის სამაგნიტო სადგურის გამგეთ.

◆ **ლექცია.** კვირას, 12 ოქტომბერს, 4 ნახ საათზე, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ს—ბის დარბაზში (ბარიათინის ქ № 5) დანიშნულია სამეცნიერო საგრონომიო წრის საზოგადო კრება, რომელზედაც გერმანიიდან ჩამოსული აგრონომი ი. ლომაური გააკეთებს მოხსენებას გერმანიის სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობის შესახებ. შემდეგ იქნება: 1) მოხსენება გამგეობის და სარევიზიო კომისიის წრის მოქმედების შესახებ, და 2) ახალი გამგეობის არჩევნები. დასწრება ყოველ მსურველს შეუძლია, წევრთათვის კი სავალდებულოა.

◆ **საქონელი სტუდენტთათვის** სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირს მთავრობამ ნება დართო გამოიტანოს მომარაგების კომიტეტის საწყობიდან 40 პროცენტის დაკლებით სხვადასხვა საქონელი. ვინაიდან გამგეობას საკმაო ფული არა აქვს ამ საქონლის გამოსატანათ, ამიტომ საჭიროა, რომ საქონლის შეძენის მსურველებმა წინდაწინ შეიტანონ ფული, ფული მიიღება სტუდ. სასადილოში.

◆ **ყოფილ ოფიცერთა დამხმარე საზოგადოების** გამგეობა იწვევს ამ საზოგადოების წევრებს 9 ოქტომბერს საჭირო ცნობების მისაღებათ, რომელ ცნობათა მიხედვით განაწილებულ იქნება ადგილები. ცნობების მიღება შეიძლება მდივანთან 10—2 საათამდე. მისამართი: რუსთაველის პრ. № 24.

◆ **საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის** კომიტეტის თავმჯდომარე დ. გ. აფხაზი შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას.

◆ **სალამო კაბარე.** 18 ოქტომბერს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სასადილოში, ამავე სასადილოს ფონდის გასაძლიერებლად, გაიმართება სალამო-კაბარე ვახშმით. სალამოზე მონაწილეობას ღებულობენ საუკეთესო ძალები. სალამოზე დაუკრავს ზურნა და მუსიკა. მოვახშმეთათვის მომზადებული იქნება 50 მაგიდა, თითო 4 კაცისთვის, თითო მაგიდა ღირს— 100 მან მაგიდის ბილეთები უკვე ეგზავნებათ საპატიო სტუმრებს.

◆ **საქართველოს** სატრანსპორტო საზოგადოება სთხოვს იმ პირთ, ვისაც სურთ მანქანაზე გადამწერის ადგილი მიიღონ, მობრძანდენ კვირას, მიმდინარე თვის 12, დილის 9 საათზე, საზოგადოების შენობაში (სერგიევის ქ. № 8 გამოცდილად. რადგან მსურველთა შორის დანიშნულია შეჯიბრება. გამოსაცდელად დაშვებული იქნებიან ყველანი, მიუხედავათ იმისა, აქვთ თუ არა შემოტანილი თხოვნა.

◆ **სახალხო უნივერსიტეტს** შესწირეს იაკუბოვიჩმა 100 მ., ორკესტრის მუსიკოსთა კავშირის გამგეობამ 500 მ.

◆ **წარმოდგენა.** დღეს, მუშათა კლუბში დაიდგმება ია ეკალაძის პიესა „21 ჯვრით“.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

კვირას, დილით 10 საათზე მეორე რაიონის კოლექტივის ბიუროს ბინაზე დანიშნულია ახალგაზრდა მარქსისტების საზოგადო კრება.

— დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია 6 რაიონის ს. დ. კოლექტივის სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს.-დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე ნაძალადევის სახალხო სახლში შესდგება პირველი რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა კოლექტივის კრება. წევრებს სთხოვენ აუცილებლათ დაესწრან.

— 9 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია ს. ს. დ. მუშ. პარ. მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა (კახეთის ქუჩა № 1).

## მთავრობაში

25 სექტემბერს მთავრობამ დაადგინა: გადაიდოს სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს განკარგულებაში 15,000 მან. 10 მილიონიან ფონდიდან კათალიკოზ პატრიარქის აფხაზეთში სამგზავრო (საეკლესიო საქმეების მოსავლელათ) ხარჯებ ს დასაფარავად.

— საკათალიკოზო საბჭოს შუამდგომლობა ოსმალთაგან აკლებულ და დანგრეულ ეკლესიების აღსადგენათ 50,000 მანეთით დახმარების აღმოჩენის შესახებ გადაეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს დასკვნისათვის.

— ახალქალაქის მაზრის სოფელ ხიზაბავრის მცხოვრებლებს და ამავე მაზრის სხვა სოფლების გაჭირვებულ მოსახლეობას მიეცეთ სათესლე ხორბალი. ხორბლის შესაძენათ საჭირო თანხა გაღებულ იქმნას შინაგან საქმეთა უწყების მიერ.

— გადაიდოს მომარაგების მთავარ სამმართველოს განკარგულებაში 25 მილიონი მან. დამფუძნებელ კრების ა. წ. 2 აგვისტოს დეკრეტით მთავრობის განკარგულებაში სურსათის დასამზადებლათ, გადიდებულ თანხიდან (50 მილიონი მან.). დადგენილება ეს ძალაში შევიდეს ოქმის დამტკიცებამდე.

— გადაიდოს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის განკარგულებაში 500000 მან. სამხედრო ფონდიდან ხიდების დასაცავათ გამოყოფილ 800 გვარდიელისთვის საჭირო ხარჯების დასაფარავათ. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს ოქმის დამტკიცებამდე თუ ვინიკობაა სამხედრო ფონდი უკვე ამოწურულია, აღნიშნული თანხა გამოთხოვილ იქმნას სამხედრო მინისტრის მიერ დამფუძნებელ კრებაში სათანადო დეკრეტის წარდგენით.

— რკინის გზის მილიციისათვის ფორმის შესაძენათ საჭირო თანხა გაღებულ იქმნას და სათანადო უწყების მიერ წარედგინოს დამფუძნებელ კრებას შესაფერი დეკრეტი.

— მთავრობის კონტროლიორათ სატრანსპორტო საზოგადოებაში დაინიშნოს გადასახადთა ინსპექტორი—სემენჩენკო.

— გადაიდოს მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში 3 მილიონი მან. (საოპერაციო თანხათ) ვარციხის სახელმწიფო მამულის საჭიროებისთვის. ეს თანხა გამოთხოვილ იქმნას მიწათმოქმედების მინისტრის მიერ სათანადო დეკრეტის წარდგენით დამფუძნებელ კრებაში. მანამდისინ კი ყურძნის შესაძენათ საჭირო თანხა მიღებულ იქმნას მოხსენებაში აღნიშნულ. მამულის შემოსავლიდან.

— შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება 25,322 მ. 47 კ. გადადების შესახებ თფილისის ალექსანდრეს სახელობის მუშათა თავშესაფარის აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ გადაეცეს ფინანსთა მინისტრს დასკვნისათვის.

— გადაიდოს იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში 66,700 მ. სასამართლო დაწესებულებათა შენობის შესაკეთებლათ.

— გადაიდოს იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში 86 867 მ. 10 კ. სამინისტროს დაწესებულებათა ვალების გასასტუმრებლათ დამფუძნებელ კრებაში სათანადო დეკრეტის წარდგენით.

## უცხოეთი

**ინგლის სპარსეთის ხელშეკრულება და ბელგია.**

ინგლისის და სპარსეთის ხელშეკრულება ბელგიაში დიდ უკმაყოფილებას იწვევს. მას დიდ ყურადღებას აქცევენ ბელგიაში. ხელშეკრულებაში არის მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ სპარსეთის ადმინისტრაციას, როგორც ეკონომიურ, ისე სამხედრო დახმარებას, უწევს ინგლისი. სპარსეთში კარგა ხანია ადმინისტრატიულ ადგილებზე ბელგიელები არიან, რომლებიც ხელმძღვანელობენ ბევრ დაწესებულებებს. ხელშეკრულება რომ ასრულებულ იქნას, ბელგიელები დაჰკარგავენ ადგილებს და დიდი ხნის მათი შრომა უნაყოფოდ ჩაივლის. ბელგიელებს იმედი აქვთ, რომ ხელშეკრულების ეს მუხლი შეცვლილ იქნება.

(„ტან“.)

## მუშათა წერილები

**ადმინისტრატორები და კავშირი**

(რკინის გზელთა ცხოვრებიდან)

(დასასრული)

როგორც დაბალ მუშა მოსამსახურეებში, ისე ამ ვითომდა ადმინისტრატორებში დიდი უმრავლესობა სოციალ-დემოკრატები არიან. როგორც მოგეხსენებათ ამ გაძევების მომხრე ამხანაგებს ჰგონიათ ამით საქმეს გამოაკეთებენ.

მე კი ვშიშობ საქმე უფრო არ გაფუჭდეს.

ეს გარედ დარჩენილი რამდენიმე ათასი „ადმინისტრატორები“ ხომ თავიანთ კავშირს შექმნიან.

ასე შეგვრჩება ხელში ორი კავშირი. მე დარწმუნებული ვარ ამ მეორე კავშირშიც დიდი უმრავლესობა სოციალ-დემოკრატები იქნება, მაგრამ მაინც ეს რკინიგზელებისათვის სასარგებლო არაა. ეს ჩვენ შინაურ საქმეებს უარესად აურდაურევს.

ზოგი ამხანაგი იმით ასაბუთებს ადმინისტრატორების კავშირიდან გაძევებას, რომ ვითომც კავშირის წევრები ჩიოდნენ.

ერთი და იგივე პირი ადმინისტრატორიცაა, სექციაშიცაა და რაიონშიცაა.

ასეთი შემთხვევა ჯერ ერთი იშვიათია.

როცა ამხანაგი მალანია მთავრობაში მიიწვიეს, მან კავშირის თავმჯდომარეობას თავი დაანება.

ასე მოიქცა გზის უფროსი ამხ. კანდელაკიც.

მე არ ვიცი დღეს ვინმე დიდი ადმინისტრატორი კავშირშიც რაიმე თანამდებობაზე იყოს.

ხოლო თუ სადგურის უფროსი, მემანქანე ან რომელიმე კანტორის მოხელე კავშირში აირჩიეს საპატიო ალაგზე, მერე რაო! განა ეს ცუდია, დასაძრახია. განა დღეს მთავრობის თავმჯდომარე ჩვენი პარტიის ცენტრის თავმჯდომარე არაა.

განა დღეს ჩვენი საუკეთესო ამხანაგები არ მუშაობენ პარტიაშიც, მთავრობაშიც, საქალაქო და საერობო დაწესებულებაშიც?

რკინის გზა რაღა გამონაკლისია ნეტავი?

ხოლო საქმე იმაშია, რომ ასეთ საპატიო ალაგებზე, როგორც ადმინისტრაციაში, ისე კავშირში ირჩევდნენ და აყენებდნენ პატიოსან და საქმის მცოდნე პირებს.

ნაცნობობამ, შინაურობამ, დღეს რამოდენიმედ ჩვენ ორგანიზაციებშიც გაიდგა ფეხი. კულტურული მუშაობა, პროპაგანდა აგიტაცია, მეტი შეგნება, პარტიული ინტერესების დაცვა, აი ჩვენი—სოციალ დემოკრატების მოვალეობა კავშირში.

ეკონომიური პირობების გაუმჯობესება, სამოსწავლო, საექიმო, სასურსათო, სასანიტარო და სხვა ამგვარ საგნებზე ზრუნვა, აი მოვალეობა კავშირისა და ყველა მისი წევრებისა—მეისრიდან დაწყებული გზის უფროსამდე.

ამიტომ ამ ეკონომიურ საკითხებში უნდა იყოს კავშირი ერთი, განუყრელი ხოლო პოლიტიკური საკითხების გადასაჭრელად ჩვენ გვაქვს პარტია და ეს კითხვები იქ დავსვათ, იქ გადავჭრათ.

ადმინისტრატიული საქმეები მივანდოთ ადმინისტრაციას და ეკონომიურ კავშირებს.

წარმოიდგინეთ ხშირია ჩვენ გზაზე ასეთი შემთხვევა:

უფროსი ადმინისტრატორი იძლევა რაიმე განკარგულებას, უმცროსი კი, თუ მას ეს განკარგულება არ მოსწონს, ამას არ ასრულებს. ეს უკანასკნელი ასე თუ ისე იმაგრებს ზურგს ორგანიზაციაში.

და უფროსი ადმინისტრატორი იძულებული ხდება გაჩუმდეს. მას ეშინია, ხათრი აქვს ორგანიზაციისა. ეს ხათრი, ეს შიში უბორკავს საუკეთესო ადმინისტრატორსაც კი ხელ-ფეხს.

ასე თუ ისე ესა თუ ის განკარგულება, დათხოვნა თუ მიღება მოხდა...

ვსთქვათ მოხდა შეცდომა.

შეცდომით იქნება მიღებული უვარგისი მოხელე ან დათხოვნილი უდანაშაულოთ.

ეძებ და ვერ პოულობ დამნაშავეს.

ერთი ადმინისტრაციაზე გითითებს და მეორე ორგანიზაციაზე. ასეთ გაუგებრობას ბოლო უნდა მოეღოს.

მომავალი ყრილობა იმედია საქმეს ჩაუკვირდება და საყოველთაო სასარგებლოთ გადასჭრის.

ს. დოლიძე.

## ახალ მოდის შანტაჟისტები

(შინაგან საქმეთა სამინისტროს საყურადღებოდ)

თუ ვინმეს გაუვლია და რამოდენიმე დღე მაინც დაუყვია ზემო ქართლში, უთუოდ გამოიგონებდა რამეს ახალ მოდის შანტაჟისტების შესახებ.

ცხადია, რომ იმ პირებს, რომლებიც ცნობილნი არიან თავისი შავი წარსულით, ანდა რაიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი რევოლიუციის მსვლელობის დროს, ადმინისტრაცია სასტიკად სდევნის.

ამიტომაც, ეს ვაჟბატონები მიკედლებიან სოფლებს და აფარებენ რა თავიანთ თავს იქ, აპარტახებენ და აფორიაქებენ გლეხების ოჯახს.

მთელი მტკვრის გაღმა სოფლები, სურამის რაიონი, ოსიაურის საზოგადოება დღეს საშინელ მდგომარეობაში... თავზე ხელაღებული პირები ხიზნებულ სოფლებში დაძრწიან, ყაჩაღობენ, ლოთობენ და სოფლელებს ... დასახადებს ადებენ.

დასამტკიცებლათ ... მოვიყვან რამოდენიმე ... რომლებიც ... ყოფენ მათ საზიზღარ მოქმედებას.

არუწყვის ბაღში, რომელიც მდებარეობს სურამ ხაშურს შუა, დაბანაკებულია ერთი მათი ჯგუფი 20 კაცამდე.

მათ ამ ბაღში ერთი ღვინით აქვთ, ქეიფობენ, ყვირიან და ღამითაც ბზირად იქვე იძინებენ.

ამავე დროს კი ადმინისტრაცია გაჩუმებულა და არავითარ ზომებს არ ღებულობს მათ წინააღმდეგ. გათამამებულნი ამით, ისინი უფრო სისაძაგლეს სჩადიან და მთელ მხარეს ტერორის ქვეშ აყენებენ.

მათი „მთავარი შტაბი“ ს. ოსიაურშია. იქიდან ხელმძღვანელობენ ისინი დანარჩენ სხვა ჯგუფებს.

ამიტომაც ხშირად გაიგონებთ სოფლელებისაგან სხვადასხვა ზღაპრულ ამბებს „ოსიაურის რესპუბლიკის“ შესახებ.

როგორც ვთქვით, მათ დაბეგრილი ჰყავთ გლეხობა გადასახადებით. გადასახადები იყოფა სამ კატეგორიათ. პირველ კატეგორიაში შედის შეძლებული გლეხობა, რომლებზედაც გაწერილია 2 ათასი მან ; მეორეში—საშუალო შეძლების გლეხობა, რომლების გადასახადი შეადგენს 1000 მან., და მესამეში—ღარიბი გლეხობა. რომლებიც იხდიან 500 მან. ყველა ეს გადასახადები ერთდროულია. უბედურება იმაშია, რომ ამ გადასახადის აკრეფაში თვითონ გლეხები მონაწილეობენ და ზოგიერთი მათგანიც მხარს უჭერს მათ. მაგალითად, თითოეულ რაიონში დანიშნული ყავთ „საბოროშნიკები“, როგორც თვითონ უწოდებენ თავიანთ თავს. ოსიაურის საზოგადოებაში დანიშნულია მიხაკ ამირაგოვი, ქეჩელიშვილი, ურიათმყოფელ და მიხას ბიჭი; (უკანასკნელი ამ სახელით არის ცნობილი ოსიაურში); მტკვრის გაღმა სოფლებში ოსი აბესალომ, რომელიც აგრეთვე ხელმძღვანელობს ყაჩაღთა ბრბოს.

ახალ მოდის შანტაჟისტები ასე ნათლავენ თავიანთ თავს: ჩვენ გაგანთავისუფლეთ თქვენ (გლეხები) იმ საშინელ მებატონეთაგან, რომლებიც დღემდე თქვენი სისხლით სუქდებოდნენ; ჩვენ ისინი გამოვასალმეთ წუთისოფელს და ამდენი ხალხი მონობის უღლიდან გამოვიყვანეთ; სამაგიეროთ ჩვენ განსაცდელში ჩავვარდით: მთავრობა გვდევნის დავხეტიალობთ სოფელ სოფელ და სიმშილ წყურვილს განვიცდით, სოფლის მოვალეობაა დაგვეხმაროს და სიმშილით არ მოგვკლას. ამიტომ ჩვენ შემოვილეთ გადასახადები და სოფლებ შორის განაწილეთ. სანამ ჩვენ სოფლათ ვიქნებით, თქვენ ვერავინ ვერ მოგეკარებათ: ვერც ყაჩაღები და ვერც მთავრობის კაცები გახლებენ ხელს. ჩვენი მუშაობის განმტკიცებისათვის საჭიროა დავიკავოთ მოკლულ ვეზიროვების სახლები, რომ იქ დრო გამოშვებით დავბინავდეთო.

თუ რა ვერაგობამდის აღწევს მათი მოქმედება, ეს სჩანს შემდეგ მაგალითიდან.

საქო ამირხანოვისათვის (ოსიაურის მცხოვრებია) გაუწერიათ 2000 მ. როდესაც მან 500 მ შეუძლევია 2000 მ. მაგივრათ, ისინი გაავთრებულან, მისცვივნიან სახლში, უცემიათ მისი ცოლისთვის, შვილებისთვის და უთქვამთ, რომ თუ ოცდა ოთხ საათში შემოწერილი ფული არ გადაუხდია—შენი კუბო შენივ ხელით დაამზადეო.

შეშინებულ ამირხანოვს გაუყიდნია ხარები, გადაუხდია 2000 მ. და თანაც სადილიც გაუმართავს მათთვის. ყველა ეს მომხდარა დღისით, აშკარათ, ხალხის წინ.

ამ შემთხვევის დროს იქ ყოფილა ოსიაურის საზოგადოების კომისარი ჩეჩელაშვილი და არამც თუ ზომები მიუღია მათ წინააღმდეგ, არამედ, ამბობენ, საქეიფოთ წასულა მათთან ერთათაო.

ასეთ შემ ძრწუნებელ შემთხვევას ჰქონდა აგრეთვე ადგილი სოფელ კოდისწყაროში, (მტკვრის გაღმა სოფელი), სადაც 3 გელაშვილს თავს დაესხნენ და მთელი ოჯახი გაუპარტახეს.

ასეთი მაგალითები ხშირია სურამის ებრაელებშიაც, რომლებიც შანტაჟისტების მიერ „კანონ გარეშე“ არიან გამოცხადებული და რომელთაც სისტემატიურათ სძარცვავენ.

ამ «შაიკის» მთავარი ხელმძღვანელნი ითვლებიან ბერიძე, ლომიძე, ბუზხრიკიძე, გაღმეველი ოსი აბესალომ, რომელთაც თავიანთ შორის სხვადასხვა სამოქმედო ფუნქციები აქვთ დანაწილებული.

პირადი შემთხვევა მქონდა შევკითხოდი გლეხებს: რა აზრისანი არიან ესენი მათ შესახებ და ან რატომ ზომებს არ ღებულობენ მათ ასალაგმავათ. მათ შემდეგი შინაარსის პასუხი მომცეს: რა ვქნათ, ყმაწვილო, ჩვენ რა უნდა გავხდეთ შეიარაღებულებთან; რამე რომ გავუბედოთ მოვლენ და მთელ

## ს.-დ. პარტიაში

## პროვინცია

## მუშათა შორის

## წერ. რედაქციის მიმართ

## განცხადებანი


## ქართული ლატარია

## სახელმწიფო თეატრი

## მეფის სასახლეში

## სხდომები

## რჩეულები მოსაფეთათვის

## ცხენის საკუთნელ ექსტრაქტი